26 ოქტომბერი, 2016 წ.

კონფერენცია „ჯოვანი სკუდიერი და მისი დრო“

(თბილისი XIX საუკუნის 40-50-იან წლებში)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი ატარებენ სამეცნიერო კონფერენციას „ჯოვანი სკუდიერი და მისი დრო“. ღონისძიება ეძღვნება გამოჩენილი არქიტექტორის, ჯ.სკუდიერის (1816-1851) დაბადებიდან 200 წლისთავს, რომელმაც პირველმა შესძინა ევროპული სახე თბილისს და მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული კულტურის შემდგომ განვითარება.
კონფერენციაზე განიხილება ჯოვანი სკუდიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ევროპეიზაციის გზაზე დამდგარი ქართული კულტურის საკითხები, რაც მოიცავს არქიტექტურას, სახვით ხელოვნებას, ლიტერატურას, თეატრს, მუსიკას; საზოგადოებრივი და სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა სფეროს.

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თამაზ გერსამია - კონფერენციის ხელმძღვანელი

დიმიტრი თუმანიშვილი - სამეცნიერო კონსულტანტი

გიორგი პაპაშვილი - სამეცნიერო კოორდინატორი

ლევან ზედგინიძე - ტექნიკური კოორდინატორი

<u>*მოხსენებები დაიბეჭდება ერთიანი კრებულის სახით</u>

განაცხადების (გვარი, სახელი; მოხსენების სათაური; სამეცნიერო ხარისხი/თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია) მიღება - 20 ივლისის ჩათვლით

მონაწილეობის დადასტურება - 30 ივლისამდე

მოხსენების ხანგრძლივობა - 20 წუთი (დაახლოებით 8 გვერდი)

დასაბეჭდი სტატია - 12 გვერდამდე (ილუსტრაციებითა და ბიბლიოგრაფიით)

სტატიების მიღება საპუბლიკაციოდ - 27 ნოემბრის ჩათვლით

საკონტაქტო პირი:

გიორგი პაპაშვილი - giopapashvili@yahoo.com